მარი დოღონაძე 2021 წლიდან საქმიანობს საგანმანათლებლო სფეროში. თანამედროვე განათლების აკადემიის გუნდს ის 2025 წლიდან შემოუერთდა.

მარის დამთავრებული აქვს სულხან საბა-ორბელიანის უნივერსიტეტის თეოლოგიის საბაკალავრო პროგრამა. ამ პერიოდში მან გაიმარჯვა ერაზმუს+ICM სასწავლო კონკურსში, სადაც მოიპოვა სასწავლო გრანტი და გაცვლითი პროგრამით გაემგზავრა ლიონის კათოლიკურ უნივერსიტეტში, საფრანგეთში.

2021 წლიდან მუშაობდა ფრანგული ენის კერძო რეპეტიტორად.

2022 წელს ჩაირიცხა აღმოსავლეთ ევროპის უნივერსიტეტის განათლების მეცნიერებების სამაგისტრო პროგრამაზე, რომელიც დაამთავრა 2024 წელს განათლების მეცნიერებების მაგისტრის კვალიფიკაციით. ამ პერიოდში მან მოიპოვა შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის მაგისტრანტთა კვლევითი გრანტი სახელწოდებით: „საერთაშორისო სტუდენტების ინტეგრაცია საუნივერსიტეტო ცხოვრებაში: ადგილებზე დაფუძნებული პრაქტიკული კვლევა“, რომელიც წარმატებით განახორციელა და დაიცვა სამაგისტრო ნაშრომი.

ამავე წელს იყო აღმოსავლეთ ევროპის უნივერსიტეტის ,,ვარლამ ჩერქეზიშვილის ინტერდისციპლინური კვლევითი ცენტრის სტაჟიორი.

2025 წელს ჩაირიცხა სულხან-საბა ორბელიანის უნივერსიტეტში და ამჟამად არის საჯარო მმართველობის პროგრამის დოქტორანტი.